# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №1475

## გაზეთის „ახალი განათლება" ხელმოწერის შესახებ

04.01.2012წ

თბილისი

### 1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთი მხრივ შ.პ.ს „ახალი განათლება" მისი დირექტორის მარიკა ჩიქოვანის სახით (შემგომში „მიმწოდებელი") და მეორე მხრივ, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ახუთის №2 საჯარო სკოლის დირექტორის ------------------------------ სახით (შემდგომში – „შემსყიდველი") „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული გამარტივებული შესყიდვის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე:

### 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის მიერ მიმწოდებლის კუთვნილი გამოცემის – გაზეთის „ახალი განათლება" 2012 წლის ხელმოწერის შესყიდვა (შემდგომში – „შესყიდვის ობიექტი").

### 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 გაზეთ „ახალი განათლების" ერთი ნომრის ღირებულებაა – ერთი ლარი და 30 თეთრი. ხელმოწერის ღირებულება: ერთი წლით 52(ორმოცდათორმეტი) ლარი, 5 თვით – 26(ოცდაექვსი) ლარი.

3.2 საქონლის ღირებულება მოიცავს როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

### 4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 „მიმწოდებელი" ვალდებულია, დროულად გამოსცეს გაზეთი „ახალი განათლება" და ყოველკვირეულად მიაწოდოს „შემსყიდველს". სააგენტოს საშუალებით, იმ პერიოდში, როდესაც მუშაობს საგანმანათლებლო დაწესებულებები. სულ, წლის განმავლობაში – 40 ნომერი.